საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 11 თებერვალი, 2015 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/33

სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დებულების მე-14 მუხლით განსაზღვრული ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის სასწავლო თეატრის გაუქმების შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ჰ[29] პუ-ნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 52[1]-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გაუქმდეს სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის სასწავლო თეატრის სტრუქტურული ერთეული.

2. სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დებულებიდან ამოღებულ იქნას მე-14 მუხლი.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია